სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი **2015 წლის 16 მარტი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. თოდუა ნუგზარი 2. აბესაძე ნინო 3. სოსიაშვილი თათია 4. გოდერძიშვილი ლია 5. გოგინავა უშანგი 6. ხომერიკი რამაზი 7. თუთბერიძე ბეჟანი 8. მაჭავარიანი ლია 9. გეგეჭკორი არნოლდი 10. ბექაური ბექა 11. ბახტურიძე პაატა 12. თუმანიშვილი გიორგი 13. თოდუა ნონა 14. კვირიკაშვილი ბახვა 15. კუპრაძე ირაკლი 16. ოკრიბელაშვილი ნინო 17. გიორგაძე გიორგი 18. წერეთელი მარი 19. შამილიშვილი მანანა 20. ლორთქიფანიძე ლევანი 21. საბაური შალვა 22. ჟვანია ირინე 23. დადეშქელიანი ბექა 24. ლორია კახაბერი 25. გორდეზიანი ლევანი 26. გელოვანი ნანი 27. თაბუაშვილი აპოლონი 28. ოთხმეზური გიორგი 29. პაიჭაძე თამარი 30. ჯეგაშვილი ნანა 31. მინდიაშვილი თეონა 32. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. გოგსაძე გიორგი 4. გერსამია მარიამი 5. ცერცვაძე თენგიზი 6. გალდავა გიორგი 7. კოპალეიშვილი მაია 8. სურგულაძე ნუგზარი 9. სამსონია შოთა 10. ომანაძე როლანდი 11მარშავა ქეთევანი 12. ჭკუასელი ქეთევანი 13. აბაშიძე თამარი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილებების დამტკიცება
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებისა და სტრუქტურის ცვლილებების დამტკიცება
3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 მარტის №35/2015 დადგენილების დამტკიცება
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დებულების დამტკიცება
5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწის ნაკვეთზე არსებული საკანალიზაციო ქსელის ჩანაცვლებაზე თანხმობის გაცემა
6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრების მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების წარმოებასა და უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიით სარგებლობაზე თანხმობის გაცემა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ-ს საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმოადგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი. მისი განმარტებით, უნივერსიტეტის წესდებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების დაზუსტების გამო აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებების შეტანა. კერძოდ, თსუ-ს 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილება შემოსავლების ნაწილში განპირობებულია 2014 წლის გარდამავალი ნაშთის დაზუსტებით; შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების დაზუსტებით; ასევე, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან: საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის დაჩქარებული მეთოდით სწავლების საპილოტე პროგრამის „ვისწავლოთ ქართულად“; „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ ხარჯებისათვის და ნაშრომის „ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის“ გამოცემისათვის თანხების გამოყოფით; საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების და „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სწავლების ხელშეწყობის ფარგლებში“ თანხების გამოყოფით.

შესაბამისად, 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილება შეეხო ხარჯების ყველა ძირითად მუხლს, რაც გამოწვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, უნივერსიტეტზე შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხარჯთაღრიცხვების ცვლილებებით; უნივერსიტეტის სახაზინო მომსახურებაზე გადასვლასთან დაკავშირებით თანხების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლიდან მუხლში გადატანით, გამოყენებითი მათემატიკისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტების ხელფასების, სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ინსტიტუტების ხელფასების შესაბამისად გამოთანაბრებით, მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ხარჯებში გაწერით, ასევე, „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სწავლების ხელშეწყობის ფარგლებში“ გამოყოფილი დაფინანსების შესაბამის ხარჯების მუხლებში გაწერით და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ბიუჯეტში ძირითადი კატეგორიის მუხლების მიხედვით „შრომის ანაზღაურება“ შემცირდა 3 123 893 ლარით,

„შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ - 479489 ლარით, „მივლინება“ – 161 360 ლარით, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები“ – 1 109 841 ლარით, „არაფინანსური აქტივები“ - 401 099 ლარით. რაც შეეხება „ოფისის ხარჯებს“, ის გაიზარდა 355954 ლარით; ,,წარმომადგენლობითი ხარჯები“ - 13900 ლარით; „სუბსიდიები“ - 173839 ლარით; „სხვა ხარჯები“ - 1 141 457 ლარით და ა.შ. ამდენად, 2015 წლის თსუ-ს ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში განისაზღვრა 87 170 413 ლარით, ხოლო გადასახდელები (მთლიანი ასიგნებანი) - 83 999 365 ლარით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა მსჯელობა. აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა: ბეჟან თუთბერიძემ, რამაზ ხომერიკმა, ლევან გორდეზიანმა, არნოლდ გეგეჭკორმა, აკადემიური საბჭოს წევრებმა, ქალბატონმა მარიამ გერსამიამ, ბატონმა გიორგი გალდავამ, რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ და ადმინისტრაციის ხელმღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილებები (დანართი 3)

2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა რამაზ ბოჭორიშვილმა წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებისა და სტრუქტურის ცვლილებების პროექტი. მისი განმარტებით, იცვლება ფაკულტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის დასახელება, ასევე, ფაკულტეტს ემატება რამდენიმე სტრუქტურული ერთეული. ცვლილებები უკვე მიიღო ფაკულტეტის საბჭომ და ახლა ის წარმომადგენლობითი საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებას საჭიროებს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა: ლევან გორდეზიანმა, ზურაბ გაიპარაშვილმა, ლევან ლორთქიფანიძემ, ნუგზარ თოდუამ, აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მარიამ გერსამიამ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებისა და სტრუქტურის ცვლილებები (დანართი 4)

3. ქალბატონმა ნინო პოპიაშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 მარტის №35/2015 დადგენილება. მისი განცხადებით, მსგავსი ცენტრის შექმნის თაობაზე ინიციატივა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან წამოვიდა, უნივერსიტეტმა კი თანხმობა გამოთქვა, თავისი წვლილი შეეტანა ქართულ-ოსური ურთიერთობების კვლევის საქმეში. ცენტრი იმუშავებს ძირითადად გრანტების საფუძველზე. პირველადი დაფინანსება თავად პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გამოყო. ამასთან, დაფინანსების პრობლემა არც მომავალში შეიქმნება, რადგაც თემა აქტუალურია და იმ სამუშაო ჯგუფს, რომელიც ცენტრში იქნება, ამ თემატიკაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გრანტი აქვს მოპოვებული.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ქალბატონმა ნანი გელოვანმა და ბატონმა გიორგი ოთხმეზურმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 მარტის №35/2015 დადგენილება (დანართი 5)

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის უფროსმა, ქალბატონმა თამარ ებრალიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო უნივერსიტეტის გამომცემლობის დებულების პროექტი. მისი განმარტებით, დებულების ცვლილება განპირობებულია მისი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. დებულებაში რაიმე ძირეული შინაარსობრივი ცვლილება არაა გათვალისწინებული და მათი უმეტესობა მხოლოდ ტექნიკურ ხასიათს ატარებს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ნანი გელოვანმა, აკადემიური საბჭოს წევრებმა, ქალბატონებმა - ქეთევან მარშავამ და მარიამ გერსამიამ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ და რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დებულება (დანართი 6). 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მოქმედი დებულება.

5. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწის ნაკვეთზე არსებული საკანალიზაციო ქსელის ჩანაცვლებაზე თანხმობის გაცემის საკითხი. შპს „m2 თამარაშვილზე“ თამარაშვილის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე აწარმოებს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“-ის მიერ კომპანიისათვის გაცემული ტექნიკური პირობა ითვალისწინებს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.03.042.137) არსებული საკანალიზაციო ქსელის ჩანაცვლებას უფრო დიდი კვეთის მქონე მილით (300 მმ), რაც საჭიროებს უნივერსიტეტის თანხმობას. ამასთან, 2015 წლის 20 იანვარს სარეგისტრაციო ნომრით 1267/02 უნივერსიტეტში შემოსულია ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის N11/89-390 კორესპონდენცია, რომელშიც გამოხატულია ინსტიტუტის თანხმობა შპს „m2 თამარაშვილზე“-ის ზემოხსენებული სამუშაოების შესრულებაზე.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ნონა თოდუამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.03.042.137) არსებული საკანალიზაციო ქსელის უფრო დიდი კვეთის მქონე მილით (300 მმ) ჩანაცვლებაზე.

6. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრების მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების წარმოებასა და უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიით სარგებლობაზე თანხმობის გაცემის საკითხი. ბატონმა არჩილ კუკულავამ აღნიშნა, რომ 2014 წლის 26 დეკემბერს სარეგისტრაციო ნომრით 44965/02 და 2015 წლის 12 თებერვლის N4163/02 კორესპონდენციებით უნივერსიტეტში შემოსულია შპს „ვოსაკის“ დირექტორის კორესპონდენციები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ კომპანია, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.023) გეგმავს ადმინისტრაციული შენობის მოწყობას და ვინაიდან ხსენებული მიწის ნაკვეთი ემიჯნება უნივერსიტეტის ტერიტორიას საჭიროებს თსუ-ს თანხმობას. ხსენებული კორესპონდენციებით ასევე ითხოვენ, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიით სარგებლობას, მასზე ტროტუარის მოწყობასა (მოასფალტებას) და მისი გამოყენების უფლებას კომპანიის მიწის ნაკვეთზე მოსახვედრად.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ირაკლი კუპრაძემ, ნუგზარ თოდუამ, ქალბატონმა ნონა თოდუამ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ და რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა ორი კენჭისყრა.

6.1. პირველად კენჭი ეყარა უნივერსიტეტის მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე მშენებლობის თაობაზე თანმობის გაცემის საკითხს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 31

წინააღმდეგი: 1

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიის მომიჯნავე, შპს „ვოსაკის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.023) ადმინისტრაციული შენობის მოწყობის თაობაზე.

6.2. მეორე კენჭისყრა შეეხებოდა შპს „ვოსაკისათვის“ უნივერსიტეტის ტერიტორიისა და მისით სარგებლობის უფლების საკითხს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 1

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა და ქალბატონმა ნინო ოკრიბელაშვილმა.

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა „შპს ვოსაკის“ მიერ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ტროტუარის მოწყობასა (მოასფალტება) და მისი გამოყენების უფლებაზე კომპანიის მიწის ნაკვეთზე მოსახვედრად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, შესაბამისი ერთჯერადი კომპენსაციის სანაცვლოდ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი:	კახაბერ ლორია
წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი:	დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2015 წლის 16 მარტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- აბესაძე ნინო

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი

- ხომერიკი რამაზი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- კუპრაძე ირაკლი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე

- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ჯეგაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2015 წლის 16 მარტი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- გოგსაძე გიორგი
- გერსამია მარიამი
- ცერცვაძე თენგიზი
- გალდავა გიორგი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- სამსონია შოთა
- ომანაძე როლანდი
- სილაგაძე ავთანდილი
- მარშავა ქეთევანი
- ჭკუასელი ქეთევანი
- აბაშიძე თამარი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი

დასახელება	**ლარი**
● ნაშთი	**21124963**
მათ შორის: ნაშთი (სწავლის ქირის, სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	13370912
მათ შორის: ნაშთი (ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების)	3637252
მათ შორის: ნაშთი (საერთაშორისო გრანტების)	2159242
მათ შორის : ნაშთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან–საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება (ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტისათვის)	1957557
● შემოსავლები	**66045450**
მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან);	46989250
მათ შორის; უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში-სომეხი სტუდენტების დაფინანსება	27750
მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან: ,,ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის '' გამოცემისათვის; ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის განხორციელების მიზნით; საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის დაჩქარებული მეთოდით სწავლების საპილოტე პროგრამის ,,ვისწავლოთ ქართულად"' განხორციელებისათვის.	163364
მათ შორის :საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ,, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების სწავლის დაფინანსება''	27725

მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა)	11243020
მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სახელმწიფო სტიპენდია), პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან,,ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია"'	1156000
მათ შორის:ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან	4167091
მათ შორის:საერთაშორისო გრანტებიდან	2271250
სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით	**87170413**
გადასახდელები ნაერთი	**ლარი**
სულ ასიგნება (I+II)	**83999365**
I ხარჯები	**79300700**
● შრომის ანაზღაურება	**37863927**
● საქონელი და მომსახურება	**33157147**
● სუბსიდიები	**2701392**
● გრანტები	**150000**
● სხვა ხარჯები	**5428234**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**4698665**
<u>ნაშთი პერიოდის ბოლოს</u>	**3171048**
მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში,სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (I+II)	**57457304**
I ხარჯები	**56625904**

● შრომის ანაზღაურება	**29821235**
● საქონელი და მომსახურება	**23472544**
● სუბსიდიები	**146114**
●გრანტები	**150000**
● სხვა ხარჯები	**3036011**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**831400**
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება **(I+II)**	**11243020**
I ხარჯები	**10123920**
● შრომის ანაზღაურება	**8042692**
● საქონელი და მომსახურება	**2061882**
● სხვა ხარჯები	**19346**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**1119100**
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება **(I)**	**1156000**
I ხარჯები	**1156000**
● სხვა ხარჯები	**1156000**
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსება-**1.**,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის''. **2.** ,,ჰუმანიტარულ , სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის ჩრდილოეთ კავკასიაში	

მცხოვრები ბაკალავრიატის სწავლების საფასურის დაფინანსებისათვის"' " ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება **(II)**	**1985282**
I ხარჯები	**27725**
● სუბსიდიები	**27725**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**1957557**
მათ შორის: ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება **(I+II)**	**7804343**
I ხარჯები	**7557471**
● საქონელი და მომსახურება	**7557471**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**246872**
მათ შორის: საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება **(I+II)**	**4353416**
I ხარჯები	**3809680**
● საქონელი და მომსახურება	**65250**
● სუბსიდიები	**2527553**
● სხვა ხარჯები	**1216877**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**543736**

დებულება და სტრუქტურა *დანართი №1*

ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები - კათედრები:

მათემატიკა

1. ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა
2. ალგებრა-გეომეტრია
3. დიფერენციალური განტოლებები
4. მათემატიკური ანალიზი
5. მექანიკა

კომპიუტერული მეცნიერებები

1. გამოყენებითი ინფორმატიკა
2. თეორიული ინფორმატიკა
3. პრაქტიკული ინფორმატიკა
4. ტექნიკური ინფორმატიკა

მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები

1. მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურები
2. რიცხვითი ანალიზი და გამოთვლითი ტექნოლოგიები

ფიზიკა

1. არაწრფივი მოვლენების ფიზიკა
2. ასტროფიზიკა
3. ატომის და ატომბირთვის ფიზიკა
4. ელემენტარული ნაწილაკები და კვანტური ველები
5. კონდენსირებული გარემოს ფიზიკა
6. პლაზმის ფიზიკა

ბიოლოგია

1. ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგია
2. ბიომრავალფეროვნება
3. ბიოქიმია
4. გენეტიკა
5. იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია
6. მორფოლოგია
7. უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია

ფიზიკა, ბიოლოგია

1. ბიოფიზიკა

ქიმია

1. ბიოორგანული ქიმია
2. ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმია
3. მაკრომოლეკულების ქიმია
4. ორგანული ქიმია
5. ფიზიკური და ანალიზური ქიმია

გეოგრაფია

1. ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია
2. გეომორფოლოგია და კარტოგრაფია
3. ნიადაგების გეოგრაფია
4. რეგიონალური გეოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება
5. ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, მეტეოროლოგია

გეოლოგია

1. გეოლოგია

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია

1. ელექტრომაგნიტური თავსებადობა
2. ანტენები და ტალღების გავრცელება

ფაკულტეტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები - ინსტიტუტები

1. არაწრფივი მოვლენების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
2. ბიოეფექტური ტექნოლოგიების ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
3. ბიოფიზიკისა და ბიო-ნანომეცნიერებების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
4. გამოთვლითი ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
5. გამოყენებითი ეკოლოგიის ინტერდისციპლინარული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
6. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
7. კონდენსირებული გარემოს ფიზიკისა და პერსპექტიულ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
8. მაკრომოლეკულების ქიმიის და პოლიმერული მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
9. მეტალორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
10. ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
11. ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
12. სტრესის ბიოქიმიური მექანიზმების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
13. ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
14. არაორგანულ-ორგანული არატრადიციული ჰიბრიდული მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
15. ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
16. სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის ინსტიტუტი
17. გენეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
18. ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი
19. გამოყენებითი ნახევრადგამტარული ტექნოლოგიების ინსტიტუტი
20. სტატისტიკური კვლევების ინსტიტუტი
21. გამოყენებითი გეოლოგიისა და გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ლაბორატორიები:

1. ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
2. აპარატურული და ტექნიკური უზრუნველყოფის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
3. ატომური ფიზიკის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
4. ბიომრავალფეროვნების სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
5. ბიოორგანულ ნაერთთა ქიმიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
6. ბიოფიზიკის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
7. ბირთვული ფიზიკის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
8. გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
9. გამოყენებითი ელექტროდინამიკის და რადიოტექნიკის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
10. გენეტიკის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
11. გეოფიზიკისა და იონოსფეროს ფიზიკის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
12. ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
13. ექსპერიმენტული ინფორმაციის მოდელური ანალიზის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
14. ზოგადი ფიზიკის სასწავლო ლაბორატორია
15. ზოგადი და არაორგანული ქიმიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
16. იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
17. კონდენსირებული გარემოს ფიზიკის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
18. მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
19. მაკრომოლეკულების ქიმიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
20. მარტყოფის გეოგრაფიული სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
21. მეტალორგანული და გამოყენებითი ქიმიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
22. მორფოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია

23. ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
24. ორგანული ქიმიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
25. პეტროქიმიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
26. პროგრამული უზრუნველყოფის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
27. უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემების ანალიზის და მონათესავე საკითხების სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
28. ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
29. ფიზიკურ–ქიმიური ბიოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
30. ჯანდარის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
31. ჰიდრომეტეოროლოგის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
32. ჰიდრომექანიკისა და ოკეანოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
33. ნივთიერებათა კვლევის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
34. მინერალოგიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია
35. პალეონტოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია

ფაკულტეტის სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. ბიბლიოთეკა
2. კანცელარია
3. რესურსების მართვის სამსახური
4. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
5. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

დადგენილება №35/2015
9 მარტი, 2015

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის “უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ და „წ“ ქვეპუნქტებისა და ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის პროექტის ავტორის №7924/02, 02.03.2015 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“.
2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება (დანართი №1).
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში – ,,ცენტრი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი სტრუქტურული ერთეული.

2. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს აკადემიური საბჭოსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

4. ცენტრს აქვს საკუთარი ანგარიში, ბლანკი უნივერსიტეტის გერბით და ბეჭედი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის დირექტორის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ცენტრი განთავსებულია შემდეგ მისამართზე: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეშვიდე სასწავლო კორპუსი, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის 55.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ფუნქციები

1. ცენტრის ძირითადი მიზნებია:

ა) ქართულ-ოსურ ურთიერთობათა შესწავლა უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პოტენციალის გამოყენებით;

ბ) სამეცნიერო კვლევებში სტუდენტი ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა მათში მეცნიერული კვლევის უნარების განვითარების მიზნით;

გ) ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების გააქტიურება აღნიშნულ საკითხებზე.

2. ცენტრი საკუთარი მიზნების მისაღწევად:

ა) აწყობს სამეცნიერო კონფერენციებს;

ბ) იწვევს სპეციალისტებს ქართულ-ოსურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

3. ცენტრის ფუნქციებია:

ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

ბ) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა;

გ) განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და უფლებამოსილებები

1. ცენტრს მართავს ცენტრის დირექტორი, რომელსაც ოთხი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. ცენტრის დირექტორი:

ა) წარმართავს ცენტრის საქმიანობას დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად;

ბ) კოორდინაციას უწევს ცენტრში დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას და წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

გ) პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

დ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ე) აკადემიურ საბჭოს არა უგვიანეს მომდევნო წლის მეორე კვარტლის დასრულებისა წარუდგენს განვლილი წლის საქმიანობის ანგარიშს;

ვ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ზ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. ცენტრის დირექტორს საქმიანობის განხორციელებაში დახმარებას უწევენ უფროსი სპეციალისტი და უფროსი ლაბორანტი.

4. ცენტრის უფროსი სპეციალისტი:

ა) უზრუნველყოფს ცენტრის კოორდინირებულ მუშაობას;

ბ) ამყარებს კავშირებს ქართულ-ოსური ურთიერთობებით დაინტერესებულ პირებთან, ორგანიზებას უწევს მათთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას;

გ) აქტიურად მონაწილეობს ცენტრის საქმიანობაში, ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას, ახდენს ნაშრომთა რედაქტირებასა და კორექტირებას;

დ) წარუდგენს ანგარიშს ცენტრის დირექტორს სამსახურში გაწეული მუშაობის შესახებ.

5. უფროსი ლაბორანტი:

ა) ხელმძღვანელობს ცენტრის ბიბლიოთეკას;

ბ) ასრულებს ტექნიკურ სამუშაოს მასალების დამუშავებისა და გავრცელების დროს;

გ) უზრუნველყოფს ცენტრის ტექნიკური აღჭურვილობის ფუნქციონირებას.

დ) ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე მოიძიებს და წარადგენს საჭირო ინფორმაციას და მასალებს მოცემული თემატიკის შესახებ;

ე) ქმნის ცენტრის მუშაობისათვის საჭირო ინფორმაციულ ბაზას;

ვ) წარუდგენს ანგარიშს ცენტრის დირექტორს სამსახურში გაწეული მუშაობის შესახებ.

6. ცენტრის დირექტორის, უფროსი სპეციალისტისა და უფროსი ლაბორანტის საქმიანობა ანაზღაურდება ცენტრის მიერ მოზიდული თანხებიდან.

მუხლი 4. ცენტრის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 5. ცენტრის ფინანსები

ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

ბ) ცალკეული ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავლები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;

დ) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ძალაში შესვლა

დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - „უნივერსიტეტი“) გამომცემლობა (ტექსტში შემდგომ - „გამომცემლობა“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. გამომცემლობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. გამომცემლობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. გამომცემლობის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. გამომცემლობის საქმიანობის სფერო, ფუნქციები და ამოცანებია:
ა) გამომცემლობის საქმიანობის მიზანია განათლების თანამედროვე სტანდარტით გათვალისწინებული ხარისხიანი სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა-სრულყოფა, ქართული და საკაცობრიო კულტურული ფასეულობების პოპულარიზება და დაცვა;
ბ) გამომცემლობის ამოცანებია საგამომცემლო საქმიანობის ხელმძღვანელობა, კოორდინაცია, კონტროლი, ბეჭდვა, ტირაჟირება და რეალიზება;
გ) გამომცემლობა ახორციელებს სარედაქციო და სასტამბო საქმიანობას;
დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტისა და სხვა დაწესებულებათა მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირება;
ე) თავის კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების განხილვა ან მათ განხილვაში მონაწილეობა.
2. გამომცემლობის პროდუქციის სახეობებია:
ა) ძირითადი სახეობები, როგორიცაა აკადემიური და სამეცნიერო წიგნები, როგორიცაა სამეცნიერო ლიტერატურის კლასიკა, ნათარგმნი სამეცნიერო ლიტერატურა, ლექსიკონები, ცნობარები, დარგობრივი ლიტერატურა და სხვა.;
ბ) პერიოდული გამოცემები, როგორიცაა სტუდენტური ლიტერატურული ჟურნალი, დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალები, კომფერენციების მასალები, თეზისები და სხვა.
გ) ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები, როგორიცაა ყველა სახის ელექტრონული გამოცემები – პერიოდული, დარგობრივი, გასართობი, შემეცნებითი და სხვა.
დ) კომერციული გამოცემები, როგორიცაა საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები, თანამედროვე ლიტერატურა, სახელმღვანელოები, ქართული კლასიკური ტექსტები, ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა და სხვა.

მუხლი 3. გამომცემლობის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. გამომცემლობა წარმოადგენს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ რგოლს, რომელსაც ხელმძღვანელობს გამომცემლობის დირექტორი.
2. გამომცემლობის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. გამომცემლობის დირექტორს ჰყავს მოადგილე.
4.გამომცემლობის დირექტორის მოადგილესა და თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, გამომცემლობის დირექტორის წარდგინებით.
5. გამომცემლობის დირექტორის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე გამომცემლობის დირექტორის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს გამომცემლობის მთავარი რედაქტორი.
6. გამომცემლობის დირექტორი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს გამომცემლობის საქმიანობას;
ბ) წარმოადგენს გამომცემლობას დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია გამომცემლობაზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
გ) ანაწილებს მოვალეობებს გამომცემლობის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
დ) ზედამხედველობს გამომცემლობის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
ე) ხელს აწერს გამომცემლობაში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;
ვ) წარადგენს ანგარიშს გამომცემლობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით გამომცემლობისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს გამომცემლობის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, გამომცემლობის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
ი) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია გამომცემლობის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამომცემლობის სახელით გასცემს დასკვნებს;
ლ) პერიოდულად ისმენს გამომცემლობის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
მ) შუამდგომლობს გამომცემლობის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე, ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
7. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გამომცემლობისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: გამომცემლობის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მთავარი რედაქტორი, სამეცნიერო გამოცემების მენეჯერი, უფროსი რედაქტორი, კოორდინატორი, ოფისმენეჯერი.

მუხლი 4. გამომცემლობის დირექტორის მოადგილე

გამომცემლობის დირექტორის მოადგილე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელს უწყობს გამომცემლობის დირექტორს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;
ბ) მონაწილეობს გამომცემლობაში შემოსული მასალების განაწილებაში;
გ) გამომცემლობის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, გამომცემლობის დირექტორის დავალებებს;
დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, გამომცემლობის დირექტორის დავალებებით ახორციელებს სხვა უფლებამოვალეობებს.

მუხლი 5. გამომცემლობის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

გამომცემლობის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.